№ 275
დეკემბრის 22, კვირა 1902 წ.
1877

ივერია

№ 275
დეკემბრის 22, კვირა 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ორშაბათს, 23 დეკემბერს, დილის 10 საათზედ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, გარდახდილი იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

გენერალ-მაიორის თ. არჩილ გულბაათის ძის ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლად. (1—481—1).

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება **თ უ მ ა ნ ი ა.** ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილეისთან.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ზესტაფონში (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.
საბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ჟირარდის მანუფაქტურის
საწყობში

ახლად მიღებულია მებელზედ გადასაკრავი მატერიები, ფარდები, ხალიჩები, იატაკზე გასაშლელები, კიბეზედ გასაფენები (Дорожки), ფარდების ასაწევები, ფოჩები და სამკაულები, ხელოვნური ტყავები, ლინოლეუმი.

დონერ—ლეიტცი.

ს წ ყ ო ბ ი ქ ა ღ ა ლ დ ი ს
დიტიატკოვსკის ამხანაგობის
მოსკოვი 1882 წ.
ნოვგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტ ფ ი ლ ი ს შ ი

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—ნ.—27)

დაიბეჭდა და დარიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

ფ ა ს ი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს. (5—ნ.—4)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

ე ქ ი მ ი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს, ფერადი ძაფით ნაკერებს და **გაზებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

№ 24. ტელეფონი № 176.

დილის იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართული თეატრი

კვირას, 22 დეკემბერს 1902 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება

დაკლებულის ფასებით

შუადღის 12 საათზედ

I

რევიზორი

კომედია 5 მოქ. ნ. გოგოლისა, თარგ. ალ. ჭიჭინაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, როსტომიანი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რკინელი, ღუენტი, ხუციშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მ.-დან 8 მ.-დე, პარტერი 50 კ.-დან 1 მ. 50-კდე, ამფითეატრი 60 კ.-დან 1 მ.-დე, გალერეია 20 კ.-დან 35 კ.-მდე.

შეგირდებისათვის (ვინც ფორმაშია) ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „მარგარიტა გოტიე“, „ადრიენა ლეკუვრერ“, „მელანიას ოინები“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ე ვ რ ო პ ი ე ლ ი ქ ა ლ ი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთოთხმეტე.

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორადაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა-კით. გამ. საზოგად.“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101) და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.* (3—ნ.—3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.
მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
გ. ა. თარხანოვი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. შაპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.
გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 ს.
ხ. ტ. არზანიტაძი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.
მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.
ბრ. მ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
ბ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 22 **დეკემბერი.**

ამას წინად მკითხველებს მოვახსენეთ, რა უსაფუძვლოდ და ფარისევლურად აბრალებენ ამიერ-კავკასიის რუსულ-ქართული გაზეთები („Аргонавтъ“, Бак.“ Изв.“ და „ცნობ. ფურც.“) „ივერიას“ ერთა-შორის მძულვარების ქადაგებას იხ. „ივერია“ № 270).

ამავე წერილში გამოვიწვიეთ ჩვენი ცილის მწამებელნი, დაემტკიცებინათ, სად და როდის უქადაგნია „ივერიას“ ამგვარი უკუღმართი აზრები, მაგრამ დღევანდლამდე ხმა არ ამოუღიათ და ამიტომ სჩანს, ეს ცილის წამება უსაფუძვლოა.

გარდა ზემოხსენებულის ცილის წამებისა, სხვასაც ბევრს რასმეს გვაბრალებენ და, რადგანაც წელიწადი თავდება, ყველასთან ყველაფერში გასწორება გვმართებს.

ჯერ ის დაუხვევიათ ხელზედ, ვითომ ჩვენი რედაქცია თავად-აზნაურობისა და სამღვდელოების ქომაგია და მასთან გლეხობისა და მუშა ხალხის ინტერესების მოწინააღმდეგე; ამის გამო გვიწოდეს „ფეოდალები“ და „კლერიკალები“. ეს ცილის წამება არ იკმარეს და, ამ ცოტას ხანში, თვისისავე ცოდვისაგან შეფუცხუნებულმა გაზეთებმა („ცნობ. ფურც.“, „კვალმა“ და „ნოვოე ობოზრ.“) გამოაცხადეს, რომ „ივერიის“ რედაქციამ უზნეო წერილების ბეჭდვით ტფილისის უმანკო მწერლობას ჩირქი მოსცხოვო.

რათა ვართ ფეოდალები და კლერიკალები? იმიტომ, რომ დღევანდელ ქონებრივად შევიწროებულ თავად-აზნაურობას ხანდისხან ხმა-მაღლივ ვქომაგობთ. მერე რატომ არ უნდა წავექომაგნეთ? მხოლოდ იმიტომ, რომ თავად-აზნაურობაა? ეს ხომ იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ვითომ ჩვენი გაზეთი თავად-აზნაურობის მოწინააღმდეგე ორგანოა; და სიმართლის მიმდევარი რედაქცია-კი თავის დღეში არ ადგია იმ მიმართულებას, რომელსაც განზრახვათა აქვს ერთი წოდება დაიცვას და მეორე უყურადღებოდ დასტოვოს. პირ-იქით, ჩვენი რედაქცია ექომაგება ყოველს გაჭირვებულს, განურჩევლად წოდებისა, რადგანაც ყოველი წოდება ჩვენის ხალხისა, დღევანდელს ჩვენს მდგომარეობაში, ერთნაირად საჭიროა ეროვნების დასაცველად. ნუ თუ იმისათვის, რომ ჩვენს თავად-აზნაურობას რაიმე წუნი აქვს, არ უნდა წავექომაგოთ მაშინაც, როცა სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი? ამისთანა საქციელს ხომ ქრისტეანობის უარ-ყოფის იერი ექმნებოდა; ჩვენი რედაქცია-კი ქრისტეს მცნების მიმდევარია.

არც ის იქნება შესაწყნარებელი, რომ უკუ ვაგდოთ თავად-აზნაურობის ის იურიდიული უფლება, რომელსაც დღევანდელი კანონი ანიჭებს, რადგანაც ამ უფლებით ერის სხვა წოდებას არაფერი ერთმევა. პირ იქით, იმედი გვაქვს, რომ ეს უფლება დღეს თუ კერძოდ თავად-აზნაურობისათვის არსებობს, ხვალ სხვა წოდებასაც მიენიჭება და საქმეც იმაშია, რომ ჩვენ არამც თუ არ უნდა დავკარგოთ ეს საჭირო უფლება, არამედ ყველა წოდებისთვის მოვიპოვოთ.

ვინ იქნება ისეთი უგუნური, რომ თავად-აზნაურობის უკმაყოფილომ განიზრახოს, ორივე წოდება ერთნაირს ცეცხლში ჩაჰყაროს!

ერთის სიტყვით, როდესაც ბედს ერთისათვის რაიმე უფლება მიუნიჭებია, ჩვენ უნდა იმას ვეცადნეთ, იგივე უფლება სხვა ჩვენს მოძმესაც მიენიჭოს და არა იმას, რომ ბედნიერი გავაუბედუროთ.

რაკი „ივერიას“ არა სურს თავად-აზნაურობის გაუბედურება, ამისთვის ჩვენ ფეოდალებად გვსახავენ!

ჩვენი „კლერიკალებად“ მონათვლაც ყოვლად უსაფუძვლოა.

ქართველი ეკლესია და მონასტერი იმ სულიერ და ზნეობრივ ბურჯად მიგვაჩნია ჩვენის ხალხისათვის, რომელიც

არ დაავიწყებს ჩვენს ხალხს ქართულს ენას და მის შემწეობით ქრისტიანობის მოძღვრებას.

ვიღამ უნდა გაავრცელოს ჩვენს ბედკრულს ხალხში ქრისტეს მცნება, თუ არ ქართველმა სამღვდელოებამ? ნუთუ „ცნობის ფურცლის“ რედაქცია თავისის გაუგებარის წერილებით უკეთ ალასრულებს ქრისტეს მოძღვრების ხალხში გავრცელების საქმეს, ვიდრე დღევანდელი ქართველი სამღვდელოება!?

თავად-აზნაურობის წოდების ძვირფასის უფლების მექომაგენი, ქართულის ენისა, ეკკლესიისა და ეროვნების დამცველნი, თურმე ზნეობით ისეთი დაცემულნი ვყოფილვართ, რომ ტფილისის უმანკო მწერლობისათვის ჩირქი მოგვიცხია. მერე ვინ ამბობს ამას? „ნოვ. ობოზრ.“ „კვალი“ და „ცნობ. ფურცელი“!

აფსუს, ზნეიაბავ, რომ შენდა დასაცველად ტფილისში მხოლოდ ეს სამი გაზეთი აღმოგჩენია.

ზნეობის დამცველის სახელი რომ ცარიელის სიტყვით მოიხვეჭებოდეს, რასაკვირველია, ეს გაზეთები ადვილად დაიმსახურებდნენ ეთიკის დიპლომს, თუმცა ბევრჯერ ისეთს უწმინდურს სიტყვებსაც წამოისვრიან ხოლმე, რომლის ხმარება მხოლოდ ხსენებულ გაზეთებისათვის არ არის აღკრძალული. მაგრამ, როცა ზნეობაზედ ჩამოვარდება ლაპარაკი, ყველამ კარგად ვიცით, რომ ზნეობა საქმით მტკიცდება და არა სიტყვით.

ტფილისი

✦ როგორც შევიტყეთ, ტფილისის საგუბერნიო თავად-აზნაურობის საზოგადო კრება გადაიდო 30 აპრილისათვის.

✦ მოგვივიდა მე-57 გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ „პოლ-ბერი“. ბუნების ცოდნა. წელიწადი მოსამზადებელი, ფრანგულით თარგმნანი პ. სურგულაძის მიერ. პოლ-ბერის სახელი საკმაო თავმდებია იმისი, რომ ეს წიგნი ფრიად საინტერესოდ უნდა იყოს შედგენილი. გამოცემა გარეგნობით ლამაზია და შნოიანია, საკმარისად დასურათებული. ცოტა არ იყოს, ენა თარგმანისა მოიკოჭლებს და ეს-კი არ ეპატიება „საზოგადოების“ გამგეობას. ნუ თუ 10—12 წევრში ვერავინ იკისრა ენისთვის შალაშინი გაეკრა?! ესეც ხომ კალენდარი არ იყო, რომ აჩქარებულიყო!

✦ დღეს, 22 დეკემბერს, დანიშნულია კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის წევრთა კრება. კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

✦ დღეს, 22 დეკემბერს, დანიშნულია ტფილისის ხელოსანთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა კრება; კრებაზედ უნდა ამორჩეულ იქმნენ ახალი წევრნი.

✦ ტფილისის სემინარიიდან შესატან ფულის შეუტანლობისათვის დაუთხოვნიათ 28 მოწაფე; ამათში ორ მესამედზედ მეტნი ქართველები არიან; ფულის შეტანის ვადა დანიშნულია 21 იანვრამდე, ვინც ამ დროსთვის არ წარადგენს, გამორიცხული იქნება სასწავლებლიდგან.

✦ ამ ჟამად ტფილისში იმყოფება შუშის ქალაქის თავი, რომელიც ქ. შუშის საქალაქო საქმეებისათვის არის ჩამოსული.

✦ გუშინ, 21 დეკემბერს, გუბერნატორს წარუდგინეს ახლად ამორჩეული ქალაქის თავის, თ-დ ა. მ. არღუთინსკის ფორმულიარი და თან თხოვნა ქალაქის გამგეობისა, რომ საბჭოს მიერ არჩეული კაცი დაგვიმტკიცეთ ქალაქის მოურავადაო.

✦ ხმოსანმა ბ-ნმა ნ. ხუდადოვმა განაცხადა გამგეობაში, კარგი იქმნება მოაწესრიგოთ მუშტაიდისა და ვაგზლის ქუჩაზედ ცხენის რკინის გზის მისვლა-მოსვლაო; ბ-ნ ხუდადოვის განცხადება აცნობა ქალაქის თავმა რკინის გზის მეთვალყურე კომისიის თავმჯდომარეს და სთხოვა ეს განცხადება განიხილეთ და თქვენი აზრი შეატყობინეთ ქალაქის გამგეობას, რათა მან თავის მხრივ წარუდგინოს თქვენი დასკვნა საბჭოს განსახილველადაო.

✦ გორის ქალაქის რწმუნებულთა დადგენილებით, გორში ტრაქტირებისა და სხვა სავაჭრო დაწესებულების გახსნა აღკრძალულია გორის უმთავრეს ქუჩებზედ; ამასთანავე რწმუნებულებმა დაადგინეს, რაც შეიძლება, შემცირდეს დუქნების რიცხვი; რწმუნებულებმა ეს დადგენილება წარუდგინეს ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს; გუბერნატორმა გორის რწმუნებულების დადგენილება საყურადღებოდ სცნო და დაამტკიცა.

✦ 19 დეკემბერს შესდგა ქალაქის საგუბერნიო საქმეთა საკრებულოს სხდომა. ამ სხდომას დაესწრო ახლად ამორჩეული ქალაქის საბჭოს რწმუნებული თავ. მიქელაძე; საგუბერნიო საბჭომ განიხილა ის მიზეზები, რომლის გამოც ქალაქის გამგეობამ ვერ მოასწრო დროზედ შეედგინა 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ეს მიზეზები საკმარის პატივსადებ მიზეზებათ არ სცნო საკრებულომ, თუმცა ამავე დროს არ გააუქმა ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც თვით გამგეობას ავალებდა მომავალ 1903 წელს ეხელმძღვანელნა 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვით. საგუბერნიო საკრებულომ მაინც დაადგინა, ეუწყოს ქალაქის გამგეობას, რომ 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვა წარმოდგენილ იქმნას არა უგვიანეს 1 თებერვლისაო.

✦ 18 დეკემბერს დანიშნული იყო ტფილისის ხელოსანთა კრება. კრება წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო არ შესდგა და გადაიდო სხვა დროისათვის. ხელოსნებმა შემოგვჩივლეს: კრებას მაშინ ჰნიშნავენ, როდესაც ჩვენ მუშაობა გვაქვს და ამიტომ ვერ ვსცლილობთ კრებაზე მოსასვლელადაო.

✦ როგორც შევიტყეთ, შიბლიანის ტყეში (სიღნაღის მაზრა) მოუკლავთ ყანდაურის სოფლის მამასახლისი ივანე ჯავარაშვილი. გამოძიება სწარმოებს.

✦ 12 იანვარს ტფილისის სომეხნი აპირობენ გამართონ ტფილისში სალიტერატურო, სამუსიკო დილა სომეხთა არტისტის ადამიანის ხსენების პატივსაცემლად.

✦ შემდგარა სომეხ მომღერალთა გუნდი მამაჯანის მეთაურობით. მომღერალთა გუნდი მონაწილეობას მიიღებს 19 დეკემბერს კონცერტში, რომელიც ცეცხლისაგან დაზარალებულ ცხინვალელთა სასარგებლოდ იმართება.

✦ ერთი კვირაა ტფილისში ჩამოვიდა ნიკიტინი და დაიწყო წარმოდგენების მართვა ცირკში. ცირკში დიდძალი ხალხი დაიარება.

✦ ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს კრწანისის ქუჩა გააფართოვოს. ეს საქმე ვერაფრით ვერ დაბოლოვდა ჯერ-ჯერობით, რადგანაც ამ ქუჩაზედ სახლის პატრონებმა ქალაქს არ დაუთმეს საჭირო ადგილი ქუჩის გასაფართოებლად და არც ქალაქს აქვს საკმარისი თანხა ადგილების შესასყიდად.

✦ 29 დეკემბერს ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში კრება ექმნებათ ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრთ. კრება დაიწყება საღამოს 8 საათზე.

✦ 18 დეკემბერს, ტფილისში პოლიციამ 29 კაცი დააპატიმრა, რადგანაც პასპორტები არა ჰქონდათ. დაჭერილებს ამ დღეებში თავიანთ სოფლებში გაჰგზავნიან.

✦ ქალაქის ხორცის დუქნებში გასაყიდ ხორცის უვარგისობას ბევრი სჩივის, ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიის წინაშე. როგორც ხორცის დუქნების უფროსმა გამგემ აუწყა კომისიას, დღევანდლამდე დაკლული საქონელი, მართალია, გამხდარი იყოვო; კომისიამ დაავალა ზედამხედველს ჩამორეკოს დასახოცად ის საქონელი, რომელიც ჯანდარში ინახება გამოსაკვებადო; ზედამხედველს განკარგულება მოუხდენია, ჩამორეკონ ის საქონელი, რაც შეიძლება მალე. საქონელს დღეს თუ ხვალ მოელიან.

ისტორიული ცნობა.

5

სვეტი თავისუფლებისა..

ბაგრატ IV სულ 11-ის წლისა იყო. ცხრა წლისა-კი გამეფდა (1027 წელს). მამა მისის გიორგი 1-ის მეფობა ფრიად მღელვარე იყო. ბერძენთ იმპერატორი ბასილი, რომელიც ორმოციოდე წლის წინად დავით მეფის ლაშქარმა დიდს განსაცდელს გადაარჩინა, ურცხვად შემოებრძოლა ქართველებს. დიდის ჯარით შემოვიდა კლარჯეთს, ბასიანს, ტაოს, შეება გიორგის, დაამარცხა, წაართვა ციხეები, მძევლად წაიყვანა მეფის მემკვიდრე ბაგრატი, ჯერ ისევ სამის წლის ყრმა და წავიდა საბერძნეთს.

ქართველი თავად-აზნაურნი, ალბად ისინი, რომელთაც მუხრუჭი მოუჭირა გიორგის მშობელმა, ბაგრატ III-ემ, მეფეს არა თუ არ ეშველებოდნენ, არამედ ბერძენთ იმპერატორს მხარს უმშვენებდნენ და „რომელნიმე ციხენი პირველვე გაეცნეს ამ აზნაურთა“.

—

დაჯდა თუ არა ბაგრატ IV მეფედ, მაშინათვე ზოგიერთნი თავად-აზნაურნი განუდგნენ მას და მიემხრნენ ბასილი იმპერატორის ძმას კონსტანტინე მეფეს. ეს უკეთურნი და წინდაუხედავნი იყვნენ ვაჩე კარიჭის ძე, ბანელი ეპისკოპოსი იოანე და „მათთანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა“. კონსტანტინე იმპერატორსაც იამა. შეჰყარა დიდი ლაშქარი და გამოგზავნა.

ბერძნებმა ხელახლა აიკლეს ის ადგილები, რომელიც ამას წინად აეკლო ბასილი იმპერატორს. აიოხრეს გზა-და-გზა ყოველივე და თრიალეთს ჩამოდგნენ. ლიპარიტ ორბელიანი ჩაიკეტა მიუდგომელს ციხეს კლდეკარს. მეფეს განუდგნენ „კვალად აზნაურნი და მისცნეს ციხენი, და ერისთავმან შავშეთისამან მისცა (ბერძენთ) ციხე წეფთისა. ჩანჩუხი ფალელი წავიდა საბერძნეთს და მისცა ციხე გარყლობისა, არჯევან ოლოლისძემაც გასცა ციხე.

—

ბაგრატ III-ის მიერ შემოკრებილი და გაერთიანებული სამეფო ინგრეოდა. თავად-აზნაურნი ხელს უწყობდნენ და აჩქარებდნენ სამშობლოს თავისუფლების დამხობას.

—

ამ დროს გამოჩნდა დიდებული კაცი აჭარაში. ტბეთის ეპისკოპოსმა საბამ თავს იდვა სამშობლოს თავისუფლების დაცვა. აღიმაღლა ხმა ძლიერი, მოუწოდა აჭარის ერს და ტბეთის ახლოს, მიუდგომელს ადგილს ააშენა ციხე ხსნისა და სიმტკიცისა და სახელსდვამას **სვეტი**.

ამ დიდებულს ციხეში შემოკრიბა ბაგრატ მეფის ერთგულნი აჭარელნი, შავშნი. მასვე მიემხრო სახელგანთქმული, წარჩინებული და ბრწყინვალედ განათლებული ეზრა ანჩელ ეპისკოპოზი, ის ეზრა, რომელიც შემდეგ მაკურთხეველობდა შემოქმედს და რომლის ლოცვა კურთხევით იოანე ჯიბისძემ დაგვიტოვა შესანიშნავი დავითნი ამგვარ წარწერებით: „ღმერთმან მზე და მთოვარე ხორცთა ჩვენთა სახმარად დაჰბადნა, ხოლო წიგნნი სულთა ჩვენთა განლებელად მოგუმადლნა“...

ბერძენთა დიდი ლაშქარი შემოადგა სვეტს თავისუფლებისას. ცბიერ მტრებმა აჭარელების მოსაცრუებლად თვიანთ ჯარს გამოაყოლეს აგრეთვე დემეტრე კლარჯი სუმბატის ძე. ამან ბევრი იშრომა ბერძენთა სასარგებლოდ და თავის მლიქვნელობით შეაცდინა ზოგნი უგუნურნი და უსუსურნი. გარნა სვეტი იდგა ანდამატის ციხესავით. ბრძოდნენ მას ძლიერად, სხვა-და-სხვა სახსარს ხმარობდენ მის ასაღებად. ამაოდ.

„ღმერთმან განაძლიერა მყოფნი სვეტსა. ვითარცა ერთგულნი და ჭეშმარიტნი მარტვილნი თავთა თვისთა სიკვდილად გასწირვიდეს, სისხლთა დასთხევდეს“ და ასრე ამხნევებდენ ერთურთს: „მოვიგოთ მადლი ერთგულობისა და გვირგვინი ახოვნებისა“.

„გარემოდგომილნი ლიქნიდეს აღთქმითა და ქადებითა კეთილთა და საფასეთა“.

მათ სიტყვამ ვერ გასჭრა. სვეტი. უმეტესად გაძლიერდა. მტერს სასოება დაეკარგა და გაბრუნდა. სვეტს ბრწყინვალების შარავანდედი გადაეკრა, დიდების გვირგვინი დაედგა.

ამ ჟამად საქართველოს დასავლეთიდამ ამოუვიდა მზე.

კონსტანტინე იმპერატორი მოკვდა. 1031 წელს ბაგრატის დედა მარიამ წავიდა საბერძნეთს, ითხოვა მშვიდობა აღმოსავლეთისათვის და თავის შვილისთვის ცოლად ელენე ბატონიშვილი.

—

დიდის დიდებით მარიამ დედოფალმა მოიყვანა რძალი ტაოს. ბაგრატ მეფემ ჯვარი დაიწერა, ქორწილი გადიხადა და წავიდა ქუთაისს. დიდების მოყვარე ლიპარიტ ორბელიანი იხერხებოდა მეფის გაძლიერების გამო..

ბერი.

ჩვენებური ამბები

ჭიათურა. დაზამთრდა და ჭიათურის სისხლ-შეწყვეტილ მოძრაობას, უამინდობამ სულ ერთიანად მოუღო ბოლო და ყველა, როგორც მუშა, ისე მრეწველიც, გულ-ხელ დაკრეფილი შესცქერის ამინდს და თავ-ბედს იწყევლის.—მერე, რა დროს უდარდა, დღესასწაულები მაინც არ იყოს მოახლოვებული!.. ყველას დიდი იმედი ჰქონდა ამ უკანასკნელი კვირეებისა. თუმცა ბუნება სამუდამოდ ეწინააღმდეგებოდა და გამუდმებულ წვიმებისაგან მუხლებამდე ტალახი იდგა ჭიათურის საქვაბო გზაზედ; თუმცა ასეთს გარემოებაში მუშაობა წვრილ მრეწველებსაც, გარდა ზარალისა, ხეირს არაფერს მოუტანდა, მაგრამ ძალაუნებურად მოახლოვებული დღესასწაული იძულებულს ჰყოფდა ყველას არ დარიდებოდნენ ჭიათურის ჯოჯოხეთურს მუხლამდე ტალახს, ეზიდათ ჭიათურის ბაქნებზედ ქვა ზარალითაც-კი, მხოლოდ ძველი „ჩაბანდებული“ ფული, ცოტათი არის მაინც, განაღდებინათ და მით „ღირსეულად“ მიჰგებებოდა მომავალს დღესასწაულებს!..

ხუმრობა ხომ არ გგონიათ: ადათი, ჩვეულება. რა პასუხი უნდა გასცე მტერ-მოყვარეს? ის არა სჯობია, რომ მთელი თვეები და წელიწადიც მუდამ გამომშიერებული ირბინო, ვიდრე ასეთს დღესასწაულებზედ მტერ-მოყვარესთან „სირცხვილს სჭამდე“? და ასეც იქცევიან. ქართველები ამაში მარჯვე არიან და ვერც ვერავინ უკიჟინებს ასეთს სამტერ-მოყვრო“ საქმეში გულ-გრილობას... ყველა მზად არის, თუ-კი რამ მოეძებნებათ შავ-დღისთვის გადადებული, რაც შეიძლება კარგად მოემზადოს და „სირცხვილი“ არ ჭამოს.

მაგრამ ჭიათურელებს ბედი არ სწყალობს. დეკორაციები შეიცვალა და ბუნებამ ჭიათურის გადაშავებულ არე-მარეს თეთრი სუდარა გადააფარა—არშინ ნახევრამდე თოვლი მოვიდა, რამაც ერთბაშად შესწყვიტა ჭიათურის მრეწველობის მაჯის ცემა. „არსაიდგან ხმა, არსით ძახილი“, სწორედ ჭიათურაზედ თუ შეგვიძლია ვსთქვათ.

ვისაც ბედი უღიმოდა და ჯიბეში ორიოდე გროში ებადა, უკვე გაუდგა თავის ოჯახისაკენ; ხოლო, ვისაც გროშიც აღარ ჰქონდა, ისინი-კი დარჩნენ.

უკაცრავად, წეღან მოგახსენეთ, რომ „არსაიდგან ხმა, არსით ძახილი“-მეთქი, ეგ შეცდომაა, ის ითქმის მხოლოდ მრეწველობის შესახებ; მაგრამ ბაზარში რომ გახვიდეთ, ვგონებ, იქაურმა ღრიალმა ყურები გაგიჭედოს... ან-კი რა ჰქონდათ „კონტრაბანდათ“ დარჩენილებმა? ღვთის წყალობით, სამიკიტნოები ბლომად არის; შებრძანდით სამიკიტნოში, ჭამეთ, სვით, იქეიფეთ და გამობრძანდით გარედ, ვინ არის ხმის გამცემი. ან თუნდა გამოჩნდეს ვინმე თავ დადებული და დაგიწყოს ფულის თხოვა,—ერთი გაჯავრებული მობრუნდი, წაავლე ხელი სკამს, ან ბოთლს თავში შენს შეურაცხმყოფელს,—„როგორ გაბედე, შე ბრიყვო თქვა“.—პოლიციაო, შეიძლება, იკითხოთ, მაგრამ ფიქრი ნუ გაქვს, მშვიდობიანობის დამცველს დარაჯებს შენთვის [illegible]დია...

ფელეტონი

ნატოს ცრემლები

(სასამართლოს ბოქაულის ნაამბობი).

ვერაფერი შვილი თანამდებობა მაქვს, მაგრამ რა ვქნა? ნათქვამია, „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“. როცა კაცი ცოლშვილით დატვირთული ხარ, საიმსო შეძლება არა გაქვს და ხელიდგანაც „რაპორტების“ წერის მეტი არაფერი გამოგივა, რასაც მოგცემენ—უნდა დასჯერდე! ახლანდელს დროში მაინც, როცა თვით დიპლომიანებიც გამგელებული ეძებენ სამსახურს და ხშირად ერთობ მცირე ჯამაგირს სჯერდებიან, მე, სემინარიიდგანაც-კი გამორიცხული, ბედნიერად უნდა ვთვლიდე თავს, რომ ამისთანა ადგილიც ვიპოვე. ვთვლი კიდევაც და კმაყოფილი ვარ ჩემის ბედის, თუმცა, ვინ იცის, რამდენ ნაირი უსიამოვნება არ შემხვდება ხოლმე სამსახურის ასრულების დროს. ლანძღვაგინებასა და წყევლა-კრულვას ვინ-და სჩივის, ბევრჯელ ბეწვზე კიდია თვით ჩემი სიცოცხლეც. ვინ იცის, რამდენჯერ ვყოფილვარ საშინელს მდგომარეობაში; რამდენჯერ ძლივს დამიღწევია თავი კეტისა, ხმალ-ხანჯლისა და თოფ-დამბაჩისაგან? დიახ, ბევრჯერ დამდგომია ცუდი დღე, ბევრჯერ გადმომდენია სიმწრის ოფლი, მხოლოდ იმისთანა შეწუხება, რომელიც ამ რამდენისამე ხნის წინად გამოვცადე, თავის დღეში არ გამომიცდია, თუმცა მე პირადად არავითარი საფრთხე არ მომელოდა.

მთელს ზემო იმერეთში სახელგანთქმულს თავისის პურ-მარილით თავად ლევან გადაღმელს, სხვათა შორის, ერთ მდიდარ რაჭველ აზნაურის, პარმენ ჩხირიშვილის, ექვსასი მანეთი მართებია და, რასაკვირველია, დროზე არ გადაუხდია; მოვალესაც განუსაჩივრებია საქმე, აუღია „აღსრულებითი ფურცელი“ და ერთ მშვენიერ დილას, გულმოსულმა, მომაყენა კარზე.

— უეჭველად, ახლავე უნდა წამომყვე, ქვეჰირი მოგკამე, ჩემო ბატონო, და აუწერო სახლის ავეჯი და ძვირფასი ნივთებიო, მითხრა.

მე ჯერ უარი ვუთხარი, ვსთხოვე, დაეტოვებინა ჩემთვის „აღსრულებითი ფურცელი“, ეგებ აწერამდის არ მიმეყვანა საქმე და ისე გადამეხდევინებინა ლევანისთვის ვალი, მაგრამ პარმენი არამც და არამც არ დათანხმდა.

— ორი დღის სავალი გზა გამოვიარე და ცარიელი არაფრისთვის არ დავბრუნდები უკან; უიმისოდაც რამდენი ხანია ჩემი ფულისთვის მევე, ძალლივით, მარბენებს ის უსინიდისოო,—სთქვა გადაწყვეტით.

მეც რაღას ვიზამდი? შევაკაზმვინე ცხენი და გავუდექით გზას. შუა დღე კიდევ არ იქნებოდა—სახლიდგან რომ გამოვედით და, ჩემი ანგარიშით, სწორედ სადილისთვის უნდა მივსწრო ლევანისას.

მე ლევანის სახლში წინადაც ხშირად ვყოფილვარ; ბევრი სიამოვნება მინახავს იქ და დიდი პატივისცემაც მახსოვს, როგორც ლევანის, ისე, განსაკუთრებით, იმის ცოლის, კნეინა ნატოსაგან.

კნეინა ნატო! ოჰ, ვინც პირადად ვერ იცნობს, ვერც-კი წარმოიდგენს, რა ქალია კნეინა ნატო! სილამაზეს თავი დავანებოთ, თვით განხორციელებული მშვენიერებაა,—თქვენ მისი ხასიათი სთქვით, რა კეთილია, რა უბრალოდ უჭირავს თავი, მაგრამ ამასთანავე რა ღირსეულად! სწორედ ციდგან ჩამოსული ანგელოზია, ერთსა და იმავე დროს ტურფაც და სიკეთით სავსეც. შეუდარებელია აგრეთვე, როგორც დიასახლისი და სტუმრების გამრთობი. მარადის მხიარული, მარადის მომღიმარი ნატო, თითქო მიწაზედ ფეხებს არც-კი აკარებსო, მიმოცურავს და იქ განკარგულებას აძლევს მოსამსახურეებს, აქ ერევა საზოგადო მუსაიფში და აცხოველებს ბაასს. ახლა მისი სიმღერა, ჩონგურისა და დაირის დაკვრა, ლეკურის ჩამოვლა! მაგრამ რომელი ერთი ჩამოვთვალოთ? კნეინა ნატო, როგორც ქალი, სრულია ყოველმხრივ და ნეტავი იმას, ვისაც შეუძლიან, ყოველთვის მასთან ყოფნით სტკბებოდეს!

ამიტომაც იყო, რომ, თუმცა არაფერი სასიამოვნო სტუმარი უნდა ვყოფილიყავი იმ დღეს ლევანისთვის და ნატოსთვის, მაინც სიხარულით მივდიოდი მათთან. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ნივთების აწერამდის საქმე არ მივიდოდა: ექვსას მანეთს ან ფულად იშოვიდა როგორმე ლევანი, ან ახალ ხელწერილს მისცემდა მოვალეს და დააკმაყოფილებდა, ხოლო თითქმის მთელი დღე შემთხვევა მეძლეოდა, ნატოსთვის მეყურებინა, მისი ხმა გამეგონა და ესეც დიდი ბედნიერება იყო ჩემთვის.

ორი საათი სრულდებოდა, როცა ლევანის სახლის ჭიშკართან მივედით. გადავიხედე ეზოში და ელდა-კი მეცა.

წარმოიდგინეთ, ლევანს დიდი წვეულობა ჰქონოდა იმ დღეს და ას-წლოვან ცაცხვებ ქვეშ სტუმრები ბუზებივით ირეოდნენ; იქვე, ის იყო, გაეშალათ მოსამსახურეებს უშველებელი სუფრა და ჰურჭელს აწყობდნენ სადილისთვის.

— დღეს თავი დამანებე, ნუ ჩამამწარებინებ ამ ხალხისთვის სიამოვნებას და ნუ შემარცხვენინებ ასე საზოგადოდ ამ დიდებულ ოჯახს-მეთქი,—შევეხვეწე პარმენს, მაგრამ ის ისე გაბრაზებული იყო ლევანზედ, რომ გაგონებაც-კი არ უნდოდა ჩემის თხოვნის.

— პირიქით ამისთანა მოხდენილს დროს როგორ დავკარგავ; სუფრაზედ რაც ძვირფასი ოქრო და ვერცხლია, ის აწერე მხოლოდ და მე მეტი არ მინდაო,—სთქვა.

— რას ამბობ, კაცო, დღეს როგორ უნდა ავწერო რამე? ვუთხარი კიდევ.

— არ აწერ და ახლავე დეპეშას დავუკრავ სასამართლოს, რომ შენს მოვალეობას არ ასრულებო—მიპასუხა.

საშველი აღარ იყო და შევაღე ჭიშკარი. სწორედ ამ დროს სახლიდგან გამოვიდა კნეინა და, დაგვინახა თუ არა, აფრინა ჩვენკენ ბიჭები. ჩვენც ჩავაბარეთ ცხენები და წავედით ცაცხვებისაკენ. ნატომ მიცნო და წამოვიდა ჩემკენ. მე ყრუანტელმა დამიარა მთელს სხეულში და, გაფითრებული, მუხლებ აკანკალებული, ძლივს მივათრევდი ფეხებს.

— რა ამბავი, სარდიონ, ავად ხომ არა ხართ?—მომაძახა კნეინამ, როცა მომიახლოვდა და დამინახა ასე ფერ-მიხდილი.

— არა, ბატონო,—ამოვილუღლუღე მე და ვაკოცე ხელზე. ნატომ თავზე მაკოცა, ხელი ჩამოართვა პარმენს, რომელსაც, მგონი, ვერც-კი იცნობდა მანამდის და ღიმილით მომმართა:

— რა დაგიმადლეთ, სარდიონ, რომ დღეს მოხვედით! უცხო სტუმარი მყავს ქალაქიდგან და თქვენებურად უნდა გამოგვაჩინო გურულ სიმღერებით—(მე გურიაში ვარ ნამყოფი და, როცა ღვინოს დავლევ, თურმე გვარიანად ვმღერი ზოგიერთ გურულ სიმღერას).

— ლევან, ლევან,—მიმართა ნატომ ახლა ქმარს, რომელიც ცოტა მოშორებით ქაღალდის სათამაშო მაგიდას უჯდა და „უცხო სტუმართან“, ერთ-ერთ დიდის გვარის ქართველ თავადიშვილთან და რამდენიმე ცნობილ ადგილობრივ მობანქოებთან ერთად „მაკაოს“ თამაშობდა: აი, კიდევ ვინ გვეწვია, შემოხედე!

ლევანმა ასწია თავი ზევით, ღიმილით „ოჰ!-“ო წამოიძახა და გაერთო ისევ თამაშში. მე მივესალმე ლევანს, მივესალმე აგრეთვე „უცხო სტუმარს“, რომელსაც გამაცნო კნეინამ და სხვებს, რომლებსაც ყველას ვიცნობდი და დავდექი მათ შორის, ვინც ქაღალდის თამაშს უყურებდა. პარმენი არ მისულა არც ლევანთან და არც სხვებთან; მოშორებით დადგა და გვიყურებდა.

— აბა, სარდიონ, არ მოიწყინოთ და მეც ახლავე მოვალ,—მითხრა ნატომ და წავიდა, ალბად, სადილისთვის ახალ განკარგულების მისაცემად.

მომშორდა თუ არა ნატო, მოვიდა პარმენი და ჩამიჩურჩულა ყურში:

— მე დიდხანს ვერ მოვიცდი; ამაღამვე უნდა ჩავუსწრო მატარებელს და წავიდე ქუ-

არ შემიძლია ჩვენი საბჭოს მოქმედებაში შესანიშნავი აბანოც არ მოვიხსენიო!

ამას წინად „ივერიას“ სწერდნენ ჭიათურიდან, რომ „აბანომ დაიწყო მოქმედება და დღე-და-ღამ განუწყვეტლივ მოქმედობსო“. მე-კი იმას ვიტყვი, რომ მართალია, აბანომ დაიწყო მოქმედება და ხალხიც ბლომად ეტანება, მაგრამ სწორედ შაბათ ღამეს, წარსული თვის 30-ს, როდესაც მართლა აუარებელი მუშა მოაწყდა სადამოს 7-ს საათზე, აბანომ თავისი მოქმედება შესწყვიტა. ამოდენა მუშა ხალხი უკანვე გაისტუმრა, რადგანაც მაზუტი გამოლეულიყო. 12 დეკემბრამდე აბანოში არავითარი „მოქმედება“ არ ყოფილა...

თქვენი მტერია, თუ ამ ჩვენ სანაქებო აბანოს ასე ხშირ-ხშირად დაუწყო მაზუტის მოკლებამ და ისიც შორაპნიდან მაზუტის მოტანას 12—13 დღე მოუნდა, ჩვენ ხსნას ბოლო აღარ ექნოს!

მეორე ჩვენი სანაქებო აბანოს ნაკლი ის გახლავს, რომ ამოდენა უზარ-მაზარ შენობაში, რომელზედაც კარგა ბლომად დაიხარჯა, როგორც უკვე მოგეხსენებათ, მხოლოდ ორი ცალკე საბანებელი ოთახია. რომ სადამოს მაინც გახდე ღირსი შიგ შესვლისა,—უეჭველად დილას უნდა მიხვიდეთ და მანამდე უცუცუტოთ იქ... საჭიროა ასეთ დაბრკოლებებს ღირსეული ყურადღება მიექცეს ვისაც ნაც ჯერ არს, რომ შემდეგისთვის მაინც თავიდან იქმნას აცილებული.

ამასთან ახალი მიმოხილვის ნომრებში ვკითხულობთ, რომ საბჭომ თავის მოქმედების ანგარიშის ბეჭდვა უკვე დაასრულაო და სხვა-და-სხვა აზრებიც მოჰყავთ იქიდან, რომლის შესახებაც არაფრის თქმა არ შეგვიძლიან ჩვენ, სანამ თვით ამ ანგარიშებს არ განვიხილავთ.

სიმართლე.

რუსეთი

საერო განათლების სამინისტროს ბიუჯეტი 1903 წ. არის 40.656,389 მან. ოთხის მილიონით მეტი გასულ წელთან შედარებით.

— საერო განათლების სამინისტრომ დაამტკიცა სახალხო კითხვათა წესდება და დაუგზავნა ოლქის მზრუნველთ.

— სამს იანვარს პეტერბურგში დაიწყება სრულიად რუსეთის ბეითალთა კრება. ჯერჯერობით 1500 წევრია ჩაწერილი კრებაზედ დასასწრებლად.

— 8 დეკემბერს შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით დაიწყეს ქალაქის დებულების გადასინჯვა.

— სახელმწიფო საბჭოში ხელახლად არის წარდგენილი პროექტი ჩრდილოეთ-დასავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთს მხარეში ერობის შემოღებისა.

უცხოეთი

ინგლისი. ედინბურგის შოტლანდიელ ლიბერალთა კლუბში ლორდ როზბერიმ სიტყვა წარმოსთქვა, ახალ სასკოლო კანონის გამო.

„მთავრობამაო—სთქვა ორატორმა—საბოლოოდ შეუკავშირა საერო განათლების საქმე ანგლიკანურს ეკკლესიას. შეუძლებელიც იყო, რომ ეხლანდელ მთავრობისაგან სხვის რაისამე მოლოდინში ვყოფილიყავით. მხოლოდ ბრალი ამ საქმეში ედება მთელს ინგლისის ხალხს, რომელმაც ხუთის წლის განმავლობაში უკვე იგემა უნიონისტთა მთავრობის ბატონობის სიმწარე, მაგრამ ეხლაც მათვე ჩაუგდო ხელში სვე-ბედი მთელის ქვეყნისა. შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენს ერს ისეთი მთავრობა მოევლინა, როგორისაც ღირსი იყო. ტორიის სამინისტროს სასკოლო პოლიტიკა სწორედ ის ნიადაგია, რომელზედაც სულ ადვილად შეუძლიათ ლიბერალთა დასებს შეერთება, რაიცა მათ დიდი ხანია სწყურიათ. დარწმუნებული ვარ, რომ ერთი ლიბერალიც არ მოიპოვება ისეთი,—რომელ ჯგუფსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი,—რომ მხარი მისცეს სკოლის ახალს სისტემას. მართალია, ტორიების გაზეთები ირწმუნება, რომ ეხლა, როცა სასკოლო კანონპროექტი უკვე კანონად იქცა, ყოველი დასი უნდა სცდილობდეს, რათა საუკეთესო ნაყოფი გამოიღოს ამ კანონმაო. მაგრამ, ვგონებ, ურიგო კანონის მხარის მიცემა, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ძალის-ძალათი მოგახვიეს თავსა—უხეირო პოლიტიკაა. ასეთ კანონს მხარი მივსცეთ-კი არა, უნდა ვებრძოლოთ. მე ერთხელვე განვაცხადე, რომ არ თანავუგრძნობ ისეთ უკიდურეს ღონისძიებათა, როგორც, მაგ., სკოლის სასარგებლოდ გაწერილ გადასახადთა გადუხდელობაა; მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, თუ ნონკონფორმისტები უგულოდ მოეკიდნენ და დროით არ ჩაუდგნენ კრიჭაში ამ კანონს, მათი საპოლიტიკო არსებობა უეჭველად მოისპობა. კიდევ ვიტყვი, თუ ინგლისმა ხმა-ამოუღებლად, უწინააღმდეგოდ მიიღო სკოლის ახალი სისტემა, ეს იმის მომასწავებელი იქმნება, რომ ლიბერალიზმს ინგლისში ბოლო მოეღო, სამარე გაეთხარაო“.

ბულგარია. მაკედონიასა, საბერძნეთსა და სერბიაში მგზავრობის შემდეგ, პოლკოვნიკი იანკოვი სოფიას დაბრუნდა. აქ რკინის გზის სადგურზედ მას მიეგება აუარებელი ხალხი, რომელსაც მაკედონიის გმირმა შემდეგის სიტყვით მიჰმართა:

„სოფიის მოქალაქენო! დიდ მადლობას გწირავთ გულითად დახვედრისა და პატივისცემისათვის. მაგრამ იცოდეთ, რომ მე მაგ პატივის-ცემის ღირსად ჩემს თავს-კი არა ვრაცხ, არამედ ჩვენის დამონებულ სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლთ, რომელნიც ბრძოლის ველად დავტოვე ულმობელ მტრის პირის-პირ; ამ რამდენისამე დღის წინად ხუთი მათგანი უკვე უმსხვერპლია მტრის ურდოს. მტარვალთ დასჭრეს მათ თავები და გაჰგზავნეს კასტურში ხალხის საჩვენებლად, იქნება მათ შორის იანკოვის თავიც ეგონოსო. მე—ბატონებო—იცით რასა ვნანობ? ვნანობ, რომ, მშვიდობიანად მცხოვრებ ოსმალებს მე და ჩემი ამხანაგები სულგრძელად ვეპყრობოდით,—როდესაც ოსმალეთის მთავრობა ასე ულმობლად ექცევა ჩვენს მოძმეთ, შეუბრალებლადა ჰკვეთს მათ თავებს, იქნება იანკოვის თავიც მათ შორის აღმოჩნდესო. მაკედონიის შემაძრწუნებელი ამბები ჩირქსა სცხებს არამც თუ მარტო ოსმალეთის მთავრობას, არამედ მთელს განათლებულ კაცობრიობას. (გაისმის ხმები: მართალია, მართალია!) შემოვვლე მთელი მაკედონია, ვიყავ აგრეთვე საბერძნეთსა და სერბიაში; მხოლოდ ვწუხვარ, რომ ბულგარიის მთავრობამ, რომელმაც ვერას გზით ვერ შემიპყრო რილის მთებზედ, შემაკავა თავისუფალ სამთავროს საზღვარზედ. ბულგარიის მთავრობის ასეთი მოქმედება იქნება სამართლიანიც იყოს: მას თავისი პოლიტიკა აქვს, მაგრამ ჩვენცა გვაქვს ჩვენი... სანამ მაკედონიაში ბოლო არ მოეღება ჩვენ მოძმეთა ჟლეტა-ხოცვას, ძარცვა-რბევასა და ძალმომრეობას, ჩვენ იარაღს არ დავყრით. არავის არ შეუძლიან აღგვიკრძალოს მივეშველოთ ჩაგრულთა და უმწეოთ. (საერთო კიჟინა: სიმართლეა! ვაშა! ვაშა!) გაგეგონებათ, რომ ხონთქარმა გამოაქვეყნა რეფორმები მაკედონიასა და ადრიანოპოლის ოლქებისთვის. ასეთივე რეფორმები წარუდგინა ევროპის კომისიამ ხონთქარს 70 წლებში, მაგრამ იქ ჩვენი ჭირ-ვარამი სავსებით არ იყო გამორკვეული. შეიძლება, ევროპის დიპლომატნი კმაყოფილნი დარჩნენ ამ რეფორმებით; იქნება ოფიციალური ბულგარიაც კმაყოფილი დარჩეს ამ რეფორმით, მაგრამ ჩვენ, ჩვენ ვერ დავცხრებით, სანამ ჩვენი საქმე საბოლოოდ გადაწყდება.

„მე იძულებული შევიქენ მაკედონიიდან საბერძნეთს გადავსულიყავ, სადაც სულით და გულით მიმიღეს. კადაბაკში დიდის ალტაცებით დამხვდნენ. დამსწრე მაკედონელებმა გარდასწყვიტეს ჩვენი საქმის დამხმარე საზოგადოების დაარსება ამ ქალაქში.
მაკედონიაში მაჩუქეს იმ ალექსანდრე მაკედონელის სურათი, რომელმაც შეაერთა 12 ბოძი და მაკედონია, ის სამეფო აალორძინა, გააძლიერა და სახელი მოუხვეჭა. ჩვენ უნდა გავიხსენოთ წარსული, შევვერთდეთ და ისე შევუდგეთ საერთო საქმეს. ოსმალთ ჯალათთა მიერ თავის მოკვეთას, ისევ თავისუფლებისათვის ბრძოლაში სიკვდილი სჯობია. თუ ძმობა და ერთობა არ გვექნა, ისე ვერას მივაღწევთ. ყოველი დიდი საქმე—შედეგია საერთო შრომისა. მაშ, ჩვენც გავუწოდოთ ძმურად ხელი საბერძნეთში მყოფ ჩვენს ძმებსა და საერთო ბრძოლა გამოუცხადოთ მტერსა.

„საბერძნეთიდგან სერბიაში მიველ. ამ სამის წლის წინად სერბიაში ვიყავ და ყური მოვკარ ლაპარაკს: მაკედონია უნდა დავანაწილოთო. ახლა-კი აზრი შეუცვლიათ. თვით მინისტრ-პრეზიდენტმა გამომიცხადა, რომ სერბიის მთავრობა ეხლახან გამოცხადებულ რეფორმებით არაა კმაყოფილი, მაკედონიას სხვა უფლებანი ესაჭიროება და სერბია შეეცდება, რომ უკეთ მოეწყოს საქმეო. სერბიის მთავრობამ მეგობრულად მიმიღო; რკინის გზის ბილეთიც უსასყიდლოდ დამითმო, ერთმა სერბიელ მოხელემ სამგზავრო ფულიც შემომთავაზა და მითხრა: გავიგე, ფული ძლიერ გიჭირთ და გთხოვთ მიიღოთო.

„სოფლის მოქალაქენო! ჩვენ აქა ვართ თავ-მოყრილნი სოფიის, ბელგრადს და ათინიდგან; გავუწოდოთ ძმურად ხელი ერთმანეთს და ერთად ვიშრომოთ თავისუფლების მოსაპოვებლად. (ასტყდა ყვირილი: ვაშა, ვაშა! გაუმარჯოს მაკედონიას! გაუმარჯოს თავისუფლებასაო). ერთი რამ კიდევა მსურს გითხრათ: ამდენი ადგილები მოვიარე, მაგრამ იარაღი არავის აუყრია ჩემთვის; ცარიბროდში-კი 260 თოფი ჩამოგვართვეს. იმედი მაქვს, ბულგარელები ამ იარაღს დამიბრუნებენ. დეე, იცოდნენ სოფიაში, რომ, დადგება თუ არა გაზაფხული, ჩვენ ისევ შევიკრებით მაკედონიაში თავისუფლებისთვის საბრძოლველად და რილის მთებზედ კვლავ ავაფრიალებთ თავისუფლების დროშას. იმ სადიდებელ ჟამსა აღტაცებით შემოვძახებ: „გაუმარჯოს ჩვენს მოძმე სერბიელებსა და ბულგარელებს, რომელნიც ასეთის გულ-უხვობით გვიმასპინძლდებიან! გაუმარჯოს მათს ქველობასა და სილაღეს.“

გაზ. „მშვიდობა“ ამბობს: დაასრულა, თუ არა, პოლკოვნიკ იანკოვმა ეს სიტყვა, ხალხმა ერთხმად იგრიალა „ვაშა! ვაშა! გაუმარჯოს მაკედონიას! გაუმარჯოს იანკოვს“-ო მუსიკამ დაუკრა „შუმი მარიცა“.

ნარკვევი

„Петербур. Вѣд.“-ში ბ-ნ იქსის ფრიად საყურადღებო წერილია დაბეჭდილი პროსტიტუციასა და მასთან ბრძოლის შესახებ. მოგვყავს ზოგიერთი ადგილები ამ წერილისა.

,,ჩვენ გვსურს და გვწადიან—ამბობს ბ-ნი იქსი—შევაჩეროთ პროსტიტუცია, ავლაგმოთ საზიზღარი ვაჭრობა ცოცხალ საქონლითა. კარგი იქნება, თუ დავიჭერთ სხვა-და-სხვა აფერისტებს, რომლებიც ვაჭრობენ თეთრკანიანი მონებით, რომლებსაც გამოჰყავთ საროსკიპო ბაზარზედ მრავალი მსხვერპლი; კარგი იქნება, თუ დავუშლით ახალგაზდა ქალებს საზიზღარ საქმეს და მრ. სხ. მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ამ გვარ ბრძოლამ რაიმე ნაყოფი გამოიღოს; პროსტიტუციის შედეგებს მაინც ვერ შეაჩერებს. პროსტიტუციის ზრდა და განვითარება ღვიძლი შვილია ახლანდელის ცხოვრებისა; მისი მოსპობა, ან და შემცირება ხელოვნურის საშუალებით არ შეიძლება; ამისთვის საჭიროა სოციალურის და ეკონომიურის რეფორმების შემოღება, რომელიც შესცვლის დღევანდელ საზოგადოების ფიზიონომიას; საჭიროა ძირიანად შეიცვალოს ყოველივე და პროსტიტუციის წარმომშობი მიზეზები რომ მოისპოს, განადგურდეს, ან და შემცირდეს მაინც. როცა საზოგადოებისთვის აღარ იქმნება საჭირო როსკიპები, ან და ნაკლებად იქმნება საჭირო, მაშინ და მხოლოდ მაშინ აღიგვება მთელი ქვეყნიდგან საროსკიპო ბაზარი, მაშინ თავის თავად გაჰქრება...

შეუძლიან თუ არა დღევანდელ საზოგადოებას უპროსტიტუციოთ არსებობა? ცხოვრების სინამდვილე გვეუბნება, რომ არა, არ შეიძლებაო. მაშ ნუღარ მოგაქვს თავი ისეთი დაწესებულებით, რომელსაც აზრად აქვს პროსტიტუციასთან ბრძოლა. მაღალი ფრაზები და აზრები საქმეთ გადავაქციოთ.

ეჰ, შავ დღეზედ დაბადებულო, გარყვნილო დედაკაცო! უბედურო ვაჭარო შენის სხეულისა! გვიპასუხე: რა ხარ, რა გამოუცნობელი სფინქსი რამა ხარ! ჩვენ ვაარსებთ შენთვის გამასწორებელს თავ-შესაფარს, შენ-კი იქ ვერავინ შეგიტყუებს კამფეტებითაც-კი. და თუ შეგიცდა ფეხი, სცდილობ მალე გაიქცე იქიდგან, წახვიდე სადაც მოგხვდება, მხოლოდ მოცდა-კი არ გსურს და არა. ჩვენ ვაარსებთ შენ თვალ-ყურის სადევნებლად საექიმო-პოლიციურს ინსპექციას, და შენ-კი ეს ინსპექცია იმ დაწესებულებად აქციე, სადაც ტრაგედიისა და ოპერის მუზა ერთმანეთს ეცილებიან .. ჩვენ ვიჭერთ, ვსჯით, ციხეში ვამწყვდევთ შენს გამრყვნელებს... მაგრამ არაფერი გამოვიდა .. აგერ დაგიხსენი საზიზღარ და სასტიკის ექსპლოატაციისაგან, შენ მაინც გარბიხარ, გაბმული ხარ ათასგვარ აგენტების ქსელში, ჩაჭერილი ხარ ათასგვარ პირობით. ნუ თუ სულ ტყუილია ჩვენი მოქმედება და ამჯობინებ გარყვნილობას გარყვნილობისათვის და არ შეიძლება არც ჯვარით, არც სახარებით, არც წმინდა ლოცვით შენი გამობრუნება?

უკვე ორმოცი წელიწადია, რაც ადამიანის სულის და გულის მცოდნენი გვარწმუნებენ, რომ ყველაზედ უბედური და დატანჯული არსება ხარ ცის ქვეშე, რომ შენ ქრისტინე, წმიდა სული ხარ, მხოლოდ შემწიკვლულ და გარყვნილი სხეულით.

რახან ასეა, გამოფხიზლდი, გამოიღვიძე, აღსდექი და დაადექ იმ გზას, რომელსაც ჩვენ გიჩვენებთ... მე მზადა ვარ, მაგრამ..- მაგრამ მეშინიან... ვაი თუ...

ზნეობრივი დარიგება კარგი რამ არის, მაგრამ იმათ შორის მაინც ვერ წავალთ. სახარებისთანა მშვენიერი წიგნი სულ არ მოიპოვება ქვეყანაზედ, მაგრამ მარტო ცარიელი სიტყვა ვერას ხდება. ,,თქვენ წაგიკითხავთ სახარება თბილ ოთახში, როცა მაძღარი იყავით,—გვეუბნება მუშა,—მე-კი ვზეპირობდი სახარებას დანილოვის სასაფლაოზედ, შემოდგომას, როცა სწვიმდა, ცარიელის მუცლით... მახსოვს: ,,მშიოდა—არა მაჭამეთ-რა, მწყუროდა და არა მასვით-რა‘‘... შემდეგ შაურად მივჰყიდე ჩემი სახარება ერთს მათხოვარს; შიმშილისაგან არაქათ გამოლეულს იმდენი ღონე არა მქონდა, რომ პური მეყიდა: მივეყრდენ საფლავის ჯვარს და ვკვდებოდი... აი მთელი სახარება,,,მწყუროდა და არ მასვით, მშიოდა და არ მეცით ჭამადი‘‘. მახსოვს ყოველივე ისე‘‘.

გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე სახარებას აჩუქებდე ვისმე, ჯერ ეცადო მისი შიმშილისა და წყურვილის მოკვლას.

ქალის პატიოსან შრომას დღეს გასავალი არა აქვს. მისი შრომა ყოველთვის ნაკლებ ფასობს—ეს ფასი ვერ აკმაყოფილებს და ამავე დროს ათას გვარი ზნეობრივი სიდუხჭირე მამაკაცებისა მოსვენებას არ აძლევს... და აი, პროსტიტუციის გზას ადგება... და ეს ასე იქნება მანამდე, ვიდრე დედაკაცის შრომა მოქალაქობრივს უფლებას არ მიიღებს, სანამდე საროსკიპოებში შესვლა საჭირო აღარ იქნება და არც გამოსადეგი. უამისოდ არც ზნეობრივი ქადაგებით და არც პოლიციურ საშუალებით პროსტიტუციის პროგრესიულს ზრდას ვერა შეაჩერებს რა.

გაათანასწორეთ ქალთა უფლება კაცების უფლებასთან, ჩააყენეთ ისინი ისეთს ვითარებაში, რომ როსკიპობა მათთვის აღარ იყოს საჭირო,—მაშინ აღარ იქნება საჭირო არც კრებისა და არც კონგრესის მოწვევა. პროსტიტუცია თვითონ თავის თავად გაქრება. თუ სრული გათანასწორება არა, უამისოდ არც კონგრესებს და არც ამა თუ იმ კრებას არავითარის ნაყოფის გამოღება არ შეუძლია.

ბიბლიოგრაფია

კათალიკოსი ანტონი II. „საქართველოს მეფეთა შთამომავლობათათვის“.

ეს ხელნაწერი მოგვივიდა პატივცემულ ნ. დ. ერისთავისაგან.

წიგნს ბოლოში, ტექსტის ხელით აწერია: „სრულიქმნა თვესა იანვარსა კზ, წელსა განხორციელებიდგან სიტყვისა ღვთისა ჩყჱ (1808 წ.) ხელითა თავადის ესავ ბეგთაბეგოვისათა“.

ამ 1808 წელს, მხოლოდ გადაწერილია, დედანი-კი შეუდგენია ანტონი კათალიკოზს ყიზლარის კამენდანტის გენერლის ივან ლვოვიჩის ფროუნდორფის თხოვნით.

ფროუნდორფი, როგორც სჩანს, ბუტკოვიდგან, ყიზლარის კამენდანტად იყო 1752 წლიდგან—1758 წლამდე. და ამ 1758 წლამდე უნდა ყოფილიყო შედგენილი თხზულება ანტონი კათალიკოზისა, რადგან ამ წიგნს, ფრაუნდორფის თხოვნით დაწერილს, მასვე მიართმევს.

ეს სწორედ ის დროა, როდესაც ანტონი კათალიკოსი განაძევეს საქართველოდგან ფრანგობისადმი მიდრეკილებისათვის და, რადგან ან-

---

თაისში, სადაც ხვალ სასამართლოში ვარ დაბარებული და გთხოვ, საქმეს ნულარ აგვიანებო.

— მოიცა, შე კაცო, სადილი ვჭამოთ, სტუმრები წავლენ წამოვლენ და ეს ნივთები სად წავიღო, მოვესწრებით აწერა-მეთქი,—ვუთხარი მე, მაგრამ პარმენმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, უეჭველად ახლავე შეუდექი საქმეს, თორემ გიჩივლებო.

რაღა გზა მქონდა? დავამშვიდე, ახლავე მოველაპარაკები ლევანს-მეთქი.

მართლაც მივედი ლევანთან და მოვუჯექი გვერდით. თამაში გახურებული იყო, ოქროს ფული და ქაღალდის ასიგნაციები ისე გადადიოდ-გადმოდიოდა ხელიდგან ხელში, თითქო საბანკო კანტორა ყოფილიყოს. ლევანის წინ იმდენი ფულის გროვა იყო, რომ, ალბად, ექვსას მანეთს ბევრი აღარა დააკლდებოდა-რა. ვიხელთე დრო, როცა ერთი მოთამაშე ქაღალდს ურევდა და წყნარად ვუთხარი ლევანს, ცოტა საქმე მაქვს და ერთ წამს ოთახში გამომყევი-მეთქი.

— არამც და არამც არ შემიძლია; მე ახლა ვერაფრისთვის ვერ მივატოვებ თამაშს და რაც საქმე გაქვს, ნატოს უთხარი და ის გაარიგებსო, მითხრა ლევანმა და ჩაერია ისევ თამაშში; მეც ავდექი, მოვძებნე პარმენი და ერთხელ კიდევ ვსცადე, მომელბო მისი გული.

— სასამართლოში გიჩივლებ თუ ახლავე არ დაგიკმაყოფილებივარო, იყო მხოლოდ პასუხი.

სხვა გზა აღარ იყო და ვუთხარი ერთ მახლობელ ლევანის ნათესავს, ასე და ასეა საქმე და კნეინა უნდა ვნახო-მეთქი.

— წავიდეთ, მითხრა და შემიყვანა სახლში.

ნატო სამზარეულოში ყოფილიყო და მაშინვე მოვიდა. მეც დიდის ბოდიშით მოვუყევი ყველაფერი. ნატოს ფერმა გადაკრა და შეუთვალა ლევანს, საჭირო საქმეა, ერთ წამს შენ მაგიერ ვისმე სხვას სთხოვე, ითამაშოს, და მოდიო, მაგრამ ამან მტკიცე უარი შემოგვითვალა, არაფრისთვის ჩემი ადგომა არ შეიძლებაო.

— ეგებ, რომელიმე თქვენ სტუმართაგანს აქვს ფული და ვსთხოვოთ-მეთქი, ვუთხარი ნატოს და დავუსახელე რამდენიმე შეძლებული თავადიშვილი, თუ ლევანის, თუ მისი ახლო ნათესავი.

— კაცი სტუმრად მოსულა და ფული როგორ ვსთხოვოო, სთქვა ჯერ ნატომ, მაგრამ მერე დასთანხმდა ამაზე და დაიბარა ბიძა ლევანისა, ქაიხოსრო, რომელიც თავისის სიმდიდრით და ამასთანვე ხელმოჭერილობით განთქმულია მთელს იმერეთში. მოვიდა ქაიხოსრო და, როცა შეიტყო, რისთვისაც დავიბარეთ, გაბრაზებული გავარდა კარში, ფული რომ მამცა, აქ რა მინდაო? დავიბარეთ მეორე თავადიშვილი, მესამე, მეოთხე, ვისთანაც-კი ფული გვეგულებოდა, მაგრამ ყველამ უარი გვითხრა: ზოგმა ისე უკმეხად, როგორც ქაიხოსრომ, ხოლო ზოგმა დიდის ბოდიშით და თავის მოკატუნებით. დავიბარეთ ახლა პარმენი და თავისი პირით სთხოვა ნატომ, ეძროვებინა რამდენიმე ხანი იმ პირობით, რომ თავდებად, ვისაც მოისურვებდა დაუყენებდა. ჯერ დიდ უარზე იყო პარმენი, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, დათანხმდა, მოეცადა რამდენიმე თვე, თუ თავდებად დადგებოდა თავადი ქაიხოსრო და ხელწერილს მისცემდა, თვითონ გადაიხადა დანიშნულ დროზე ვალი. ვსთხოვეთ ახლა ისევ ქაიხოსროს, მაგრამ ამაზედაც უარი გვითხრა: მე დროს გასატარებლად მოვედი აქ დღეს და არა საქმისთვის; რა დროს თავდებობა და ხელწერილების წერააო?

საქმე ცუდად იყო. ეტყობოდა, რომ ნატო თანდათან უფრო და უფრო ღელავდა; თან მოსალოდნელი სირცხვილი და თან ქაიხოსროს უგულობა მეტად აწუხებდა, სტანჯავდა. საბრალო ნატო. მისს მარადის მხიარულს სახეს საშინელი შავი ღრუბელი გადაჰკროდა და თვალები, მარადის მომღიმარი, მოწმენდილ ცასავით მოკრიალებული, ცრემლებით ავსებოდნენ. ნატო ამისთანა შეწუხებული წარმოუდგენელი იყო ჩემთვის და, თუმცა ჩემი ბრალი არა იყო-რა, მაინც დიდ დანაშაულად მიმაჩნდა ჩემი თავი მისს წინაშე. ოჰ, რას მივცემდი მაშინ, რომ სასამართლოს ბოქაულად ჩემს დღეში არ გავხდარიყავი და ნატო ამისთანა მდგომარეობაში არ მენახა. წამს დამავიწყდა ჩემი თავი, დამავიწყდა ჩემი ცოლშვილი და გადავწყვიტე დამეხსნა ნატო გაჭირვებისაგან, რაც უნდა ძვირად დამჯდომოდა.

— კარგი, რადგან ასეა, თვითონ მე ვკისრულობ თავდებობას და, თუ გინდა, ახლავე მოგცემ ექვსასი მანეთის თამასუქს-მეთქი ვუთხარი პარმენს.

— შენი თამასუქი რა ჩემ ფეხებად მინდა, მე გადასაყრელი ფული სადა მაქვს, რომ რამდენი გუდამშიერი მოხელეა, ყველას ვენდოო—მიპასუხა პარმენმა და გავიდა კარში, თან გარედგან შემომძახა: ახლავე შეუდექი ნივთების აწერას, თორემ უეჭველად გიჩივლებ, რომ შენს მოვალეობას არ ასრულებო.

მე უნებლიედ შევხედე ნატოს და სრულიად დამავიწყდა ჩემი შეურაცხყოფა, როცა დავინახე, რომ თვალებზედ მომდგარი ცრემლი ვეღარ შეიმაგრა და ტირილი დაიწყო. ნატო, ჩემი ღვთაება, ვისაც თაყვანს ვსცემდი, როგორც წმინდათა-წმინდას,—სტიროდა! ნატოს ცრემლები, ოჰ, ეს მეტის მეტი იყო! ისინი ცეცხლის წვიმასებრ ეცემოდნენ ჩემს გულს და სწვავდნენ, ჯოჯოხეთურის ალით სდაგავდნენ! „მოვკლავ იმ არამზადას, თუ საჭირო იქნა, და ნატოს-კი მოვსწმენდ ამ ცრემლებს“-მეთქი, გადავსწყვიტე და გავარდი მაშინვე კარში. მოვსძებნე პარმენი და დავუწყე ხვეწნა-მუდარა. პირადად ჩემის საქმისთვის ისე არავის შევხვეწნივარ ჩემს სიცოცხლეში და არც შემიძლია, შევეხვეწო. რომ ეთქვა, მზად ვიყავ, მუხლებზედ დავვარდნილიყავი მისს წინაშე და ფეხები დამეკოცნა.

— კარგი, რადგან აგრე ხარ მონდომებული, რა გაეწყობა, თანახმა ვარ; მე შენი გულისთვის ვამბობდი უარს, რომ არ ჩაბმულიყავი და ზარალი არ გენახა, თორემ ექვსას მანეთს როგორ არ გენდობი: ნეტავი ექვსასი მანეთი-კი არა, ექვსი ათასიც გემართოს ჩემი, რომ მე ის არ დამეკარგოსო, მითხრა ბოლოს პარმენმა.

ნატო ისევ სტიროდა, როცა შევედი მასთან და მხოლოდ მაშინ მოიწმინდა ცრემლი, რომ შეიტყო, საქმე კარგად გათავდა.

— გმადლობთ, გმადლობთ, სარდიონ, და პატიოსანს სიტყვას გაძლევთ, რომ ამ ერთს თვეში გამოგიგზავნით ექვსას მანეთს, მითხრა გრძნობით.

— არაფერია, პარმენი თანახმაა, ექვსი თვის ვადა მოგვცეს და ამ ექვსს თვეში მე თვითონაც მოვაგროვებ როგორმე ამ ფულს და მივცემ; ასე რომ თქვენ ნუ შესწუხდებით. და, როცა თავისუფალი ფული გექნესთ, მაშინ მიბოძეთ-მეთქი, ვუპასუხე.

ვექსილის ქაღალდი თან მქონდა; მაშინვე დავუწერე ექვსასი მანეთის თამასუქი და მივეცი პარმენს, რომელიც იმავ წამს გაუდგა თავისს გზას, მე-კი სადილად იქ დავრჩი და მხოლოდ ნასადილევს დავბრუნდი შინ.

სადილზედ ჩვეულებრივი მხიარულება იყო. ნატოს ისე ეჭირა თავი, თითქო არაფერი მწუხარება არ ენახოს თავისს დღეში და ამ რამდენისამე წამის წინად ცხარის ცრემლით არ ეტიროს. ლევანს იმ დღეს ორასი მანეთი წაეგო, მაგრამ ეს მისთვის არაფერს არ შეადგენდა და მისს მხიარულებას სამზღვარი არა ჰქონდა. მხიარული იყვნენ სტუმრებიც და მეც ძალიან მხიარული ვიყავი, რომ ნატო გამოვიყვანე საშინელის მდგომარეობიდგან...

ერთს თვეს კიდევ არ გაევლო ამ დღიდგან, რომ ნატომ ექვსასი მანეთი დიდის მადლობითა და ბოდიშით გამომიგზავნა. ალბად, რომელიმე ძვირფასი საგვარეულო განძი გაყიდა, ან დააგირავა და ჩემთან პირნათლად გამოვიდა...

დუტუ მეგრელი.

ტონი განაძევეს 1755 წელს, ამიტომ იგი ამ თხზულებას დასწერდა 1756 და 1758 წლებ შუა.

პირველი ნახევარი წიგნისა დაბეჭდილია „ივერიაში" (1880, № III) წარწერით: „ნამდვილიდგან უმეტნაკლებოდ გადმოწერილი არს წერეთლის იოანე დამუაშვილის მიერ".—სამეგრელოს მარტვილის სობროს ხელთნაწერითგან იბეჭდება ეს წერილი ანტონ I კათალიკოზისა".

რაც უფრო საყურადღებო ყოფილა ანტონის წიგნში, ის არ არის დაბეჭდილი 1880 წლ. „ივერიაში". იმას, რაც უკვე დაბეჭდილია, ხელთნაწერში მიჰყვება: აღწერა ახალციხისა, აღწერა ყარსისა, აღწერა ბაიაზეთისა, აღწერა ერევნისა, აღწ. განჯისა, აღწ. ხამსისა აღწ. ყუბისა, აღწ. გუმუხისა, აღწ. შაქისა, აღწ. ალისულთნისა ჭარელთა და იმ ძირობისა, აღწ. ხუნძახისა, აღწ. დიდოეთისა, ქისტლილი-ზურმუკეტისა, აღწ. ქერიმზანის საქმეებისა.

ყველგან მოკლე-მოკლე, გარნა საყურადღებო ცნობებია. ხუნძახშიო, სხვათა-შორის სწერს ანტონი, ძველად კახეთის მეფედ ერისთავი იჯდაო.

თხზულება დაწერილია ადვილად გასაგების ენით და კარგი იქმნება, ვინმე იკისრებდეს მის დაბეჭდვას სრულად.

მ. ჯ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

20 დეკემბერი.

დელი. 15,000 კაცის დასწრებით გამოაცხადეს გვირგვინის კურთხევის ცერემონია. ვიცე-კაროლმა სთქვა, დურბარს ესწრება თითქმის კაცობრიობის მეხუთე ნაწილის წარმომადგენლებით და ყველანი თავს ხრიან ერთის ტახტის წინაშეო. წაიკითხეს მეფის ეპისტოლე, რომელშიაც ეცხადება ინდოელებს სათნოება და მადლობა ინდოელ დამქარს და ეუწყებათ, რომ მალე მოვლენ უელსის პრინცი და პრინცესა. ინდოეთის გასალი ქვეშევრდომნი დაუბრკოლებლივ ისარგებლებენ უფლებით. სამის წლის განმავლობაში მთავრობა სარგებელს არ გამოართმევს ადგილობრივ მთავრობათათვის გასესხებულს ფულში, რომელიც მიეცათ შიმშილისაგან დაზარალებულთათვის.

პეკინი. კეტტელერის ძეგლი დაიდგმება 5 იანვარს. ელჩებმა ითათბირეს იმ ნოტის შესახებ, რომლითაც სთხოვენ კონტრიბუცია ოქროთი გადახდით იქმნას. ამერიკის პოლიტიკა, ჩინეთის საბუთების მომხრე, აბრკოლებს წარედგინოს შეთანხმებული ნოტა და ხელს უწყობს ჩინეთს განუსაზღვრელს დრომდის შეაბრკოლოს საქმე.

პარიჟი. დელკასეს ინფლუენცია სჭირს.

ნიუორკი. ვენესუელის მეამბოხედ გამარჯვათ. მთავრობის ლაშქარმა 300 კაცი დაჰკარგა.

კარაკასი. მტკიცდება, რომ გერმანიის გემი „Talke" ემუქრებოდა თოფს დავუშენ მარაკაიბასო, ტყუილია.

ბუდაპეშტი. ლიბერალურ წრის ახალწლის მილოცვაზე სელმა გამოსთქვა, ხელშეკრულობით გაერთიანებული სახელმწიფოები საფუძვლიანად მოიქცევიანო, თუ ეცდებიან ეკონომიური ერთობა დაიცვან. შეთანხმების შინაარს განიხილავენ პარლამენტები. „პესტერ ლოიდს" ჰგონია, უნგრეთს კოველი საფუძველი აქვს კმაყოფილი იყოს შეთანხმებითაო.

პარიჟი. ხმები ისმის, მთავრობამ მაროკკოში მომხდარ ამბების გამო ალჟირ-მაროკკოს საზღვარზედ მოუმატა ჯარს.

პარიჟი. რუსისა და ფრანგულმა სამხედრო მინისტრებმა ერთმანერთს ახალ წლის გამო მისალოცი დეპეშები გაუგზავნეს.

ვარშავა. აქეთ გამოიარა პეტერბურგში მიმავალმა გრაფმა ლამზდორფმა.

სოფია. ბოლგარიამ არ მიიღო ხელ-შეკრულობა ავსტრია-უნგრეთთან ვაჭრობის შესახებ.

ვენა. ლამზდორფი 1-ლ ს. და 20 წ. სადარბაზოდ მივიდა იმპერატორთან, სადაც 20 წამი დარჩა.

ვენა. „Tremdenblatt"-ის სიტყვით, კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია ლამზდორფს იმპერატორზედ. გარეშე საქმეთა მინისტრების მოლაპარაკება სასიამოვნოა. დილით ფლიგელ-ადიუტანტმა ლიტრიხსმა ლამზდორფს გადასცა იმპერატორის საჩუქარი—სურათი.

სოფია. დამოუკიდებელი გაზეთები, მათ რიცხვში სტამბულოვისა—„ნოვი ვეკი" დიდ კმაყოფილებას აცხადებენ ლამზდორფის მოსვლის გესახებ. დარწმუნებულნი არიან, რომ ეს მოსვლა მომასწავებელია იმისა, რომ რუსეთს გადაუწყვეტია მაკედონიის მდგომარეობის გაუმჯობესებაო. ბოლგარელთ შეუძლიანთ იმედი იქონიონ სახელმწიფოების დახმარებისა. გაზ. „ბოლგარია" აჩქარებულად სცნობს ამისთანა დასკვნების გამოყვანას ლამზდორფის მოგზაურობიდგან, რომელიც მოწმობს იმას, რომ იმპერატორი საქმეს გულმოდგინედ ეკიდება. გაზეთები ირწმუნებიან, რომ ლამზდორფმა საზოგადოების თანაგრძნობა მოიპოვა და მოსალოდნელია, რომ გადაწყდეს აღმოსავლეთის და მაკედონელთა კითხვას. ყველა უცდის კითხვის სასიკეთოდ გადასაწყვეტად—მთავრობამ გამოუცხადა კრებას, შეატყობინეთ, სახელმწიფოებთა წარმომადგენლებს, რომ ჩვენ გადავსწყვიტეთ არ მივიღოთ სავაჭრო შეკრულობაო. მთავრობას სურს ახლად გამართოს მოლაპარაკება და უფრო სასარგებლო პირობებით შეკრას.

ვენა. 9 საათსა და 5 წ. ლამზდორფი წავიდა. გააცილეს გრაფმა კაპნისტმა, რუსეთის საელჩოს წევრთ, რუსეთის გენერალურმა ელჩმა, ელჩის მოადგილემ, გარეშე საქმეთა მინისტრმა გოლუხოვსკიმ, დესპანმა ზიუდენგოსტმა, საელჩოს ბჭემ კანსკიმ და ბოლგარიის სადიპლომატიო სააგენტოს მდივანმა.—ლამზდორფთან გახშამზე დაესწრნენ: გარეშე საქმეთა მინისტრი გოლუხოვსკი, ელჩი კაპნისტი და საელჩოს წევრები ქალებით.—ლამზდორფი სადარბაზოდ მივიდა იმპერატორთან და გამოეთხოვა.

სტამბოლი. ბრესოვში გამოჩნდა ბოლგარელთა ბრბო, რომელსაც მეთაურობს იორდან პიპენკო. ღამით შეტაკება მოხდა 70 ჯარის კაცთა და ჟანდარმებს შორის; პორუჩიკი დასჭრეს, 15 ჯარის კაცი მოჰკლეს და დასჭრეს, ბრბოდგან ორი კაცი მოჰკლეს, დანარჩენები წავიდნენ. ბრესოვის მცხოვრებნი მონაწილეობას იღებდნენ ბრძოლაში.

21 დეკემბერი.

ასხაბადი. ანდიჟანში მივიდა „წითელი ჯვრის" რაზმი; კარგმა ამინდებმა მცხოვრებთა გაჭირვებული მდგომარეობა დიდად შეამსუბუქა, თორემ სიცივეები რო დაეჭირა საბრალონი უკიდურეს მდგომარეობაში დგებოდნენ. მრავალი შემოწირულება მოსდის დაზარალებულთა სასარგებლოდ. საჭიროა ფული და უფრო ტანთ-საცმელი და შეშა. სამხედრო გუბერნატორი 19 დეკემბერს კვლავ მოვიდა ანდიჟანში.

მოსკოვი. ხიტროვის რაიონის ქალაქის სამზრუნველო აარსებს აკციონერულ საზოგადოებას, რომელსაც აზრად აქვს ააშენოს ჰიგიენური ღამის თავ-შესაფარი შრომის ბაზრითურთ.

ტანჟერი. პრეტენდენტი დაბანაკებულია; მან ვერ მიიმხრო მეზობელი ხალხნი. მეამბოხენი ფეხს არ დასცემიან. ქალაქში მშვიდობიანობაა სურსათი გაძვირდა.

მადრიდი. კრეისერი „ინფანტა იზაბელა" ტანჟერს მივიდა. კრეისერის უფროსმა გადასცა ისპანიის ელჩს მთავრობის ინსტრუქციები. ტანჟერის გუბერნატორმა გამოუცხადა კაბილთა ბელადებს, რომ ისინი ვალდებულნი არიან თავიანთ ოლქებში გზებზე სიარული უშიშარ ჰყონ.—ტანჟერიდგან იუწყებიან, რომ სულთანის ძმა მულა მოჰამედი, რომელიც აქამდის დაპატიმრებული იყო, სულთანის ბრძანებით განთავისუფლებულ იქმნა და ღირსებაც დაუბრუნდა. სხვა ხმათა მიხედვით ტახტის მაძიებელმა განაცხადა, რომ მე არ ვიბრძვი მაროკკოს ტახტის ხელში ჩაგდებისათვისო.

ლონდონი. მთავრობამ წინადადება მისცა მენელიკს, რომ მულლას შესაპყრობად საჭიროა ჩვენი ერთად შეერთებაო; ამობენ, რომ თუმცა ნეგუსს ჯერ ამაზედ თანხმობა არ გამოუცხადებია მაგრამ უეჭველია დასთანხმდებაო. მოელიან, რომ ინგლისის ოფიცრები შეხვდებიან რას-მაკონენს ხარარში და აქედგან აბისინიის ჯარები გაილაშქრებენო.

პეტერბურგის ბირჟა, 20 დეკემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	75,70
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,65
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97¾ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99½ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94½ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	474 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	ციფრები ტელეგრაფისაგან შერყვნილია.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის	—
გირავნ. ფურცლ.	89⅝ წვ. გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები „ „ „ „	—
„ კასპიის ამხანაგობისა.	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	410 წვ. გაყ.
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	205½ წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპანამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

განცხადება

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ახალი წიგნი

საქართველო

მეთორმეტე საუკუნეში

დ. კარიჭაშვილის მიერ სურათებით. ფასი 40 კაპ. (10—6.—8)

Денисовскій

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი" მ. ვ. ლებედევისა.

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (33—6.—2)

„GRAND PRIX"
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

Парфюмерія

„Махровая Сирень"

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მაღლის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

სწერა-კითხვის საზოგადოების წიგნი მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи,		
ეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	1	„
გულურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	3„
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30

САРАТОВСКАЯ САРПИНКА

508

образцовъ въ изящномъ альбомѣ высылаются за 49 коп. почт. мар.

на лѣтній сезонъ 1903 года,

легкая лѣтняя ткань для платьевъ и бѣлья.

Продажа оптомъ и въ розницу, пересылка розничныхъ заказовъ безплатно.

Фабриканты Торговый Домъ

„Андрей Бендеръ Сыновья".

въ Саратовѣ, Никольская улица.

(4—6—3)

საბუჰგალტერო კლასები

დაარს. **ი. ი. ბრონ-ფონ ბრენნერის მიერ.**

საბუჰგალტერო კლასებს აზრათ აქვს მისცეს მსურველთ, შედარებით მოკლე დროს განმავლობაში, საკომერციო განათლება, პრაქტიკულისა და თეორიულის მეცადინეობის შემწეობით მოამზადოს **ბუჰგალტრები, კორესპონდენტები, კანტორშჩიკები** და საზოგადოდ მოხელენი სავაჭრო საქმეებისა. კურს დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები**. ხოლო საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი** სამსახურში.

სასწავლებელში მიიღებიან **ორისავე სქესისანი**, 15 წლისაზე არა ნაკლებნი. სულ ორი განყოფილებაა: მე 2-ში მიიღებიან ვინც წარმოადგენს საქალაქო სასწავლებელში ან პროგიმნაზიაში კურსის დამთავრების მოწმობას, ხოლო პირველში—უმოწმობონი. სწავლა თითოეულ განყოფილებაში 5 თვეს სწარმოებს საღამოობით—5—9 საათამდე.

ისწავლება შემდეგი საგნები:

ბუჰგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მსურველთათვის: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მბეჭდავ მაშინაზედ.

წელს მოწვეულნი არიან მასწავლებლებად: ინჟენ. მ. ი. **ჩენგერი** და ს. პ. **ილინი**, იურისტები: ა. ი. **მიცკევიჩი** და ვ. ფ. **სულევსკი**, მასწავლებელი ი. ი. **ბრონ-ფონ ბრენნერი**, ს. ე. **კოზლოვი**, ო. ა. **სოკოლოვი** და სხვანი.

ფასი მთელის კურსისა პირველ განყოფილებაში 60 მ. მეორეში 75 მ. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. სწავლა დაიწყება 20 იანვარს. ცნობათათვის შეიძლება მიმართონ კლასების სადგომში, ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ტფილისი, ნიკოლოზის ქუჩა № 48. (10—473—3)

Открыта на 1903-й годъ подписка

НА ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ"

съ безплатнымъ приложеніемъ

„Вѣстника Горнаго дѣла и орошенія на Кавказѣ"

На 1903-й годъ въ портфелѣ редакціи имѣется много цѣнныхъ трудовъ авторовъ, какъ принимавшихъ участіе въ газетѣ ранѣе, такъ и новыхъ, и въ томъ числѣ столичныхъ.

По прежнему, время отъ времени будутъ выходить иллюстрированныя литературныя приложенія къ газетѣ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА въ Тифлисѣ: на 12 мѣс.—10 рул., на 11 мѣс.—9 р. 50 к., на 10 мѣс.—9 руб., на 9 мѣс.—8 р. 50 к., на 8 мѣс.—7 р. 75 к., на 7 мѣс.—7 р., на 6 мѣс.—6 р., на 5 мѣс.—5 р., на 4 мѣс.—4 р., на 3 мѣс.—3 р., на 2 мѣс.—2 р., на 1 мѣс.—1 р.; иногороднымъ: на 12 мѣс.—11 р. 50 к., на 11 мѣс.—10 р. 75 к., нъ 10 мѣс.—9 р. 75 к., на 9 мѣс.—9 р., на 8 мѣс.—8 р. 25 к., на 7 мѣс.—7 р. 25 к., на 6 мѣс.—6 р. 50 к., на 5 мѣс.—5 р. 50 к., на 4 мѣс.—4 р. 50 к., на 3 мѣс.—3 р. 25 к., на 2 мѣс.—2 р. 25 к., на 1 мѣс. 1 р. 25 к.; заграницу: на 12 мѣс.—17 р., на 11 мѣс.—16 р., на 10 мѣс.—15 р., на 9 мѣс.—13 р. 50 к., на 8 мѣс.—12 р., на 7 мѣс.—10 р. 50 к., на 6 мѣс. 9 р., на 5 мѣс.—7 р. 50 к., на 4 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—4 р. 50 к., на 2 мѣс.—3 р., на 1 мѣс.—1 р. 75 к. ОБЪЯВЛЕНІЯ: съ мѣстн. объявл. (кавказскихъ) за строку петита или занимаемое ею мѣсто на I-й стр.—16 к., и на 4-й стр.—8 к. **Многократныя объявленія со значительною скидкою.**

Подписка и пріемъ объявленій въ конторѣ газ. „Кавказъ" (Тифлисъ, Эриван. пл., д. Харазовой). Объявленія отъ лицъ, фирмъ и учрежденій за границей, Петербурга, Москвы, Царства Польскаго и прибалтійскихъ губ. принимаются въ конторѣ объявленій А. и Э. Метцль и К-о въ Москвѣ и Петербургѣ—по 10 к., на 1-й стр. вдвое.

Плата за объявленія въ «Вѣстникѣ горнаго дѣла и орошенія на Кавказѣ» за строку петита (50 буквъ) 15 к., за цѣлую страницу 20 руб. Многократныя объявленія по соглашенію. Отдѣльные №№ по 15 коп.

(5—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 декабря 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.